ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 216

15 ივნისი
"---" -------- 2021 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის ,,დ.ვ'' და „დ.ზ" ქვეპუნქტების, 127[2] მუხლის მე-3 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული მე-14 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ასევე, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" №322 დადგენილების გათვალისწინებით, ასევე, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 2 ივნისის №21.709.829 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, პირდაპირი განკარგვის ფორმით, იჯარის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთათვის (შემდგომში - "მოიჯარე") 2021 წლის 1 თებერვლიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე შესაბამისი იჯარის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საიჯარო ქირა შემცირდეს და განისაზღვროს 0 (ნული) ლარის ოდენობით, გარდა ამ განკარგულებით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. მოიჯარეს, რომელსაც 2021 წლის 1 თებერვლიდან პერიოდზე ფაქტობრივად გადახდილი აქვს საიჯარო ქირა/ქირის ნაწილი ან/და 2021 წლის 1 თებერვლიდან პერიოდზე საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო დარიცხული პირგასამტეხლო, გადახდილი ქირა/ქირის ნაწილი/პირგასამტეხლო ჩაეთვალოს მომავალი გადაუხდელი

პერიოდის საიჯარო ქირის ანგარიშში (ასეთის არსებობის შემთხევაში), გადახდილი პერიოდის პროპორციულად.

3. მოიჯარეს, რომელსაც გადახდილი აქვს 2021 წლის 1 თებერვლიდან პერიოდზე საიჯარო ქირა/ქირის ნაწილი და იჯარის ხელშეკრულების ვადა იწურება 2021 წლის 31 დეკემბრამდე, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე დარჩენილ გადაუხდელ პერიოდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საიჯარო ქირა შეეცვალოს და განესაზღვროს 0 (ნული) ლარის ოდენობით.

4. გადახდილი საიჯარო ქირა და პირგასამტეხლო არ ექვემდებარება დაბრუნებას.

5. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების მიზნით, გაათავისუფლოს მოიჯარეები შესაბამისი იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დაკისრებული/ დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან 2021 წლის 1 თებერვლიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე.

6. ამ განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები აისახოს იმ ქვემოიჯარეებზე, რომელთაც უძრავი ქონება სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვთ ამ განკარგულებით გათვალისწინებული მოიჯარისაგან, პროპორციულობისა და სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით, შესაბამის მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

7. ამ განკარგულებებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები ვრცელდება ამ განკარგულების გამოცემის მომენტისათვის მოქმედ შესაბამის ხელშეკრულებებზე.

8. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონდმებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე